საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ქსოვრელის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	25	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	74	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი

თარიღი : 28.05.2021 წ.

p

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **ირაკლი ქსოვრელის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ირაკლი ქსოვრელი. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს. უშუალოდ ირაკლი ქსოვრელის საჯარო მოსმენა გაიმართა 2021 წლის 5 მარტს, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა მიხედვით,

კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.

ვინაიდან ირაკლი ქსოვრელს არ გააჩნია სამოსამართლო გამოცდილება, მისი შეფასება განვახორციელე შემდეგი წესით:

1.5.1. ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტი ავალდებულებს საბჭოს წევრს - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი შეაფასოს ამავე კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით. ამდენად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმთან მიმართებით, კანდიდატი უნდა შეფასდეს სწორედ 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტის მახასიათებლების მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, უნდა შედგეს საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას; ამდენად, დასკვნა ,,სრულად აკმაყოფილებს" უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, თუ კანდიდატი მახასიათებლისათვის კანონით განსაზღვრული ყველა კომპონენტის მიხედვით დადებითად ფასდება; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითია, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდება უარყოფითი, უნდა ჩაითვალოს, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5.2. რაც შეეხება კანდიდატის შეფასებას კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით. მართალია, ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტი ავალდებულებს საბჭოს წევრს - სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი შეაფასოს ამავე კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, თუმცა - იქვე ადგენს, რომ ამგვარი კანდიდატი უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულებით.

აღნიშნულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი კანდიდატი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, 36^3 მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით ვერ შეფასდება: ჯერ ერთი, ეს მახასიათებლები, ლეგალური დეფინიციების შინაარსის გათვალისწინებით, ცალსახად მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატებს მიემართება; მეორეც, 35^1 მუხლის მე-16 პუნქტი განსაზღვრავს ქულებს კომპეტენტურობის კრიტერიუმის მხოლოდ 6 მახასიათებლისათვის, მაშინ, როცა 36^3 მუხლი განსაზღვრავს კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებელს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნათა დაცვისათვის, მის ნორმათა სისტემური, ტელეოლოგიური განმარტების შედეგად, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატები უნდა შეფასდნენ ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით და მათ ქულები მიენიჭოთ იმავე მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით; თითოეული ქულა უნდა დასაბუთდეს.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

2.1.1. ირაკლი ქსოვრელი 31 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ლენდის უნივერსიტეტის მიერ); არის კანდიდატი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. სპეციალობით მუშაობს 9 წელია. ამჟამად არის

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი.

2.1.2. ორი რეკომენდატორი გამოარჩევს კანდიდატის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, თავშეკავებულობას, სამართლიანობას, მედეგობას, კვალიფიციურობას და ა.შ. რეკომენდატორებიდან ერთი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, კერძოდ, „კანდიდატი საკმაოდ რთულად იცვლის პოზიციას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. საწინააღმდეგო პროფესიული არგუმენტების შესაძლო სიმრავლის მიუხედავად, როგორც წესი, მაინც საკუთარ პოზიციაზე რჩება“.

კითხვარის სტანდარტული ფორმით გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. ირაკლი ქსოვრელს მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში:

- ეროვნული თავდაცვა - ტრენინგი;
- ადამიანის უფლებები, ევროკავშირის სამართალი - ტრენინგი.

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

2.1.4. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის კანდიდატმა მოამზადა ორი სალექციო კურსი: „საკონსტიტუციო სამართალწარმოება“ და ,,კონსტიტუციური კონტროლი“.

2.1.5. კანდიდატს გამოქვეყნებული აქვს სტატია: საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection).

2.1.6. ირაკლი ქსოვრელს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე საბანკო სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით; აქვს საკუთრებაში 2 უძრავი ქონება: ბინა (50% წილი, 70,7 კვ.მ.), ქ. თბილისში და ბინა (50% წილი, 77,63 კვ.მ.) ბათუმში. კანდიდატი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

2.1.7. ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი ორჯერ იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.7[1] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (,,შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა“;“) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად; ერთხელ მის მიმართ გამოყენებულია სიტყვიერი შენიშვნა 118[2] მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (,,მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა“).

კანდიდატის მიმართ მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

ის ერთხელ წარმოადგენდა მოსარჩელეს სამოქალაქო საქმეში (დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა), სადაც გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში.

კანდიდატი დაზარალებულად სისხლის სამართლის რაიმე საქმეზე ცნობილი არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.8. კანდიდატმა წარმოადგინა შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტაცია:

1) საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური უფლებების გამოყენება - უფლების დაცვის ეფექტური საშუალება (Application of The Constitutional Rights by the Common Courts-Effective Remedy for Human Rights Protection);

2) სამაგისტრო ნაშრომი - Aggressive Tax Planning – Challenge of the Digital Era (Lund University, Spring 2015).

მათი შესწავლით დავადგინე, რომ ირაკლი ქსოვრელი ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. ირაკლი ქსოვრელის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: https://www.youtube.com/watch?v=nLm7gtasvI0). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. მისი პასუხები, უმეტესწილად, თანმიმდევრულ, დასაბუთებულ და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო აშკარა შეცდომები და ხარვეზები პასუხების დაახლოებით 40%-ში (მაგ: ერთ-ერთ ზოგად შეკითხვაზე - უზენაესი სასამართლოს რომელი პალატის მოსამართლედ მოიაზრებდა თავს, კანდიდატმა უპასუხა, რომ უფრო საჯარო სამართლის სპეციალისტია, ვიდრე სისხლის სამართლის; კანდიდატს კარგად არ ახსოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე ,,საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", რადგან ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ,,იდეათა თავისუფალი ბაზრის" თეორიის შესახებ; უფრო მეტიც, განაცხადა, რომ ასეთი თეორიის შესახებ არ სმენია; კანდიდატმა სრულად ვერ უპასუხა შეკითხვას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-17 და მე-18 მუხლებით დაცული ობიექტების შესახებ; კანდიდატმა სრულად ვერ უპასუხა შეკითხვას სახელმწიფო მოსამსახურეების, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების შესახებ; კანდიდატმა განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლო პრაქტიკას კარგად არ იცნობს და ეს დააბრალა სასამართლოს საიტის სტრუქტურულ გაუმართაობას; კანდიდატმა სრულად ვერ უპასუხა შეკითხვას, დასაშვებია თუ არა მესამე პირის ჩაბმა უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას და რა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს ეს საპროცესო მოქმედება; კანდიდატმა სრულად ვერ უპასუხა შეკითხვას საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ; კანდიდატმა ვერ უპასუხა შეკითხვას მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციის - სპეციალური მოსარჩელის არსის შესახებ და ა.შ.).

2.2.3. აღსანიშნავია, რომ მეტყველებისას ირაკლი ქსოვრელი, გარკვეულ შემთხვევებში, სიტყვებს გამოთქვამს არასრულად.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. ირაკლი ქსოვრელის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე;

არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის" მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც, მოსამართლედ მისი გამწესების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებლად და იქნება ზეგავლენების მიმართ მედეგი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ,,დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის" მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული ქცევის" მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ,,პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის" მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნიე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, მისი მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ,,ფინანსური ვალდებულების" მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ კანდიდატი შევაფასე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვენი, რომ ირაკლი ქსოვრელი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. ირაკლი ქსოვრელის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. ზემოთ, 2.2.2 პუნქტში აღწერილი შეცდომების/ხარვეზების შემთხვევების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ძირითადად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლის მიხედვით ირაკლი ქსოვრელი შევაფასე 15 ქულით (ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 60%).

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და სხვადასხვა სფეროში (აკადემიური, საჯარო, კერძო სექტორები) მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 25 ქულით (ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულა.

4.1.3. ზემოთ, 2.1.8 და 2.2.3 პუნქტებში აღწერილი ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ძირითადად გამართულად მეტყველებს, აზრს ძირითადად ნათლად და გასაგებად გადმოცემს, ფაქტების კარგი ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი ქსოვრელი ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ,,წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის" მახასიათებლის მიხედვით შევაფასე 14 ქულით (ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 70%).

4.1.4. კანდიდატი პუნქტუალურია, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, აქვს დამოუკიდებელი აზროვნებისა და სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, მენეჯერული უნარ-ჩვევები. თუმცა, რადგან მას არ გააჩნია არათუ მოსამართლედ, არამედ - საერთოდ სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება მაინც, მიჭირს დავასკვნა, რომ ირაკლი ქსოვრელი, მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში, სრულყოფილად გაუმკლავდება ამ რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული თვისებების" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 11 ქულით (35^1 მუხლის მე-16 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის დაახლოებით 70%).

4.1.5. კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში იშვიათად მონაწილეობს; ამდენად, მას არ გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, სათანადოდ არ ზრუნავს თვითგანვითარებაზე. ირაკლი ქსოვრელს არ აქვს ჩაბარებული არც ერთი პროფესიული გამოცდა/ტესტირება (იხ: 2.1.3 პუნქტი). თუმცა, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული ,,აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 6 ქულით (ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 60%).

4.1.7. კანდიდატი იშვიათად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად, გამოიჩენდა ინიციატივას და წამოაყენებდა იდეების/წინადადებებს.

კანდიდატი ასევე არ აქტიურობს პედაგოგიური/სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ ირაკლი ქსოვრელი ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ,,პროფესიული აქტივობის" მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 3 ქულით (ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 60%).

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, ირაკლი ქსოვრელს ვანიჭებ 74 ქულას.